ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2405831

ნომერი: AR1373799

თარიღი : 27.01.2016

გაცემის თარიღი : 01.02.2016

გაცნობის თარიღი : 01.02.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გუდაუთის ქუჩა N7 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ გიორგობიანი პ/ნ 01001015795
- თბილისი გლდანი VII მ/რ კორ. 16 ბ. 47

ნომენკლატურა :

- საწყობი
- IV კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: სს "ივერია"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 202217733
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დავით სილაგავა
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024002394

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1038.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 1036.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 7821.0

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 7821.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 0.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 8.75
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 7.55
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.2

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზედ თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1. ვინაიდან სადემონტაჟო შენობით სრულად ათვისებულია საპროექტო ტერიტორიის საზღვრები, საჭიროა დამატებით ფაილში ატვირთოთ მომიჯნავე ტერიტორიის მესაკუთრის შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა დემონტაჟის წარმოებისთვის მომიჯნავე ტერიტორიის გამოყენებაზე, მათ შორის მისასვლელზეც.
2. ველში –> საჭიროების შემთხვევაში მომიჯნავე შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული დასკვნა: ატვირთეთ კონსტრუქციული დასკვნა მომიჯნავე შენობების (მომიჯნავე საკადასტრო ერთეულ(ებ)ის და მისამართის დაფიქსირებით) არსებულ ტექნიკურ მდგომარეობასა და არსებული შენობის დემონტაჟის პროცესში მათზე ზეგავლენის შესახებ, მათ შორის მომიჯნავე შენობასთან კონსტრუქციული კავშირის შესახებ ინფორმაციის მითითებით (იმ შემთხვევაში თუ დემონტაჟის შემდეგ მომიჯნავე შენობა საჭიროებს კედლის მოწყობას ან არსებულის აღდგენა/შელესვა/შეღებვას გათვალისწინებული უნდა იქნას პროექტით და წარმოსადგენი იქნება თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებზე) პასუხისმგებელი პირის მიერ ხელისმოწერით დადასტურებული და შეავსეთ ექსპერტის მონაცემები; იმ შემთხვევაში თუ დასკვნაში მოთხოვნილი იქნება რაიმე სახის გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება დემონტაჟის პროცესში დამატებით წარმოდგენილ იქნას გამაგრების პროექტი და კალენდარულ გრაფიკში ეტაპის სახით ასახული გამაგრებითი სამუშაოები; გაითვალისწინეთ იმ შემთხვევაში თუ გამაგრება შეეხება მომიჯნავე შენობებს საჭიროა დამატებით ატვირთულ იქნას მათი მესაკუთრეების შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებზე.
3. ველში –> დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი: დამატებით ატვირთეთ პასუხისმგებელი პირების მიერ ხელისმოწერით დადასტურებული სადემონტაჟო გენგეგმა ტოპო ძირზე 1:500 მასშტაბში, სადემონტაჟო შენობების, საკადასტრო საზღვრების, დროებითი ნაგებობების, მისასვლელი გზების, დროებითი ღობის და ა.შ დატანით.
4. დამატებით ფაილში ატვირთეთ სადემონტაჟო შენობის არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, გადაღებული შორი და ახლო ხედებიდან, გადაღების თარიღის მითითებით.
5. ველებში –> სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები -> საერთო ფართობი (კვ.მ); სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის ჯამური ფართობი (კვ.მ): მითითებული უნდა შეესაბამებოდეს საჯარო რესტრის ამონაწერში დაფიქსირებულს.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული,

სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.